Digitally signed by Municipal Development Fund of Georgia
Date: 2020.01.23 09:36:43 +04'00'

ხელშეკრულება №MDF/ET/CW/227-2020
სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (ს.კ. 206074193; მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150), შემდგომში ,,**შემსყიდველი**", წარმოდგენილი **აღმასრულებელი დირექტორის გიორგი შენგელიას** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ლემი"** (ს/კ: 406273429 მის: ქ.თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზ.N47-49/8, ბ.17. ტ:+995599198019; ელ-ფოსტა: Shpslemi@gmail.com), შემდგომში ,,**მიმწოდებელი**", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან ცქვიტინიძე** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „**მხარეები**", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და შემსყიდველის მიერ გამოცხადებული **NAT190025791** ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ქ. თბილისში შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1. შემსყიდველმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - **NAT190025791 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრაციული შენობის ოთახების, საევაკუაციო კიბის უჯრედების სარემონტო სამუშაოებისა და 0 სართულზე, ფონდის კუთვნილ ფართში, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად არქივისთვის ახალი ფართის მოწყობის (CPV-45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების** (შემდგომში „**სამუშაო**") სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო 18,364.99 ლარად დღგ-ს გარეშე.

1.2. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება **დღგ-ს ჩათვლით** შეადგენს **21,670.69 (ოცდაერთი ათას ექვსას სამოცდაათი ლარი 69 თეთრი)** ლარს (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

1.3. მისაწოდებელი სამუშაოს მოცულობები, ერთეულის ფასები და საერთო ფასი მოცემულია ხელშეკრულების **დანართში №1 - ხარჯთაღრიცხვა**, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. სამუშაოს მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. მიწოდებული სამუშაოს ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართით №1 გათვალისწინებულ სამუშაოთა ჩამონათვალთან და ხელშეკრულების 3.2 პუნქტთან შესაბამისობის დადგენა, შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშის (შემდგომში „შსა") და/ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

2.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მთავარი ინჟინერი გურამ კობახიძე**.

3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

3.1. სამუშაოთა ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1, ხოლო შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, მოცემულია ხელშეკრულების 3.2. პუნქტში.

3.2. სამუშაოების ჩატარებისას გათვალისინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას წინამდებარე ტექნიკური დავალების და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს შესრულება განახორციელოს საქართველოში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.
გ) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულებისთანავე საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო და სამუშაო ფართის დასუფთავება, ნარჩენების, სამშენებლო ნაგვის მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა და მათი უტილიზაცია.
დ) მიმწოდებელი ვალდებულია ნებისმიერი დეტალი, რომელიც არ იქნება განსაზღვრული ტექნიკური დავალებით, ხარჯთაღრიცხვით ან ხელშეკრულებით, შეათანხმოს შემსყიდველთან.
ე) მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების შესრულება განახორციელოს ისე, რომ არ შეფერხდეს შენობაში მიმდინარე სამუშაო პროცესი და მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა.
ვ) მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოების წარმოებისას დასაქმებული პერსონალის შრომის უსაფრთხოება და აწარმოოს სამუშაოები აღნიშნული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.
ზ) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს ახალი, ხარისხიანი სამშენებლო მასალებით, შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველს უნდა წარუდგინოს სამშენებლო მასალების ხარისხის და/ან წარმოშობის სერთიფიკატი, საჭიროების შემთხვევაში ნიმუში.

4. სამუშაოს მიწოდების ადგილი, ვადები და საგარანტიო პირობები:

4.1 სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს არა სამუშაო პერიოდში და უნდა დასრულდეს შემსყიდველის მიერ დავალების მიცემიდან არა უმეტეს 4 კვირის ვადაში.
4.2 სამონტაჟო სამუშაოები სრულდება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი #150-ში მდებარე სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
4.3 შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს შემდეგი საგარანტიო პირობა:

ა) შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება 1 წლიანი საგარანტიო პერიოდი, რომლის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, მიუხედავად იმისა ამოწურულია თუ არა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
ბ) საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიმართვის შემდეგ, შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, (მაგრამ არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა მექანიკურად გამოწვეული დაზიანებისა.
გ) მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს მიღება–ჩაბარება ხორციელდება „შსა“ და/ან მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული სამუშაოს შესაბამისად.
5.3. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული სამუშაო შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირი „შსა“-ს და/ან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს სამუშაოს მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ მიწოდებული სამუშაოს არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირი ადგენს შესაბამის ინსპექტირების დასკვნას, ხოლო შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი სამუშაო.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად მიწოდებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე: **ს.ს. "თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: GE35TB7604136080100008.**
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება „შსა"-სა და/ან მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
6.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.5. შესყიდვის დაფინანსების წყარო: 2020 წლის საკუთარი შემოსავლები.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.1.3. გაავრცელოს გარანტია შესრულებულ სამუშაოებზე და გამოყენებულ მასალებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით.
7.1.4. საკუთარი სახსრებით დროულად აღმოფხვრას საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ყველა ნაკლოვანება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სამუშაოს გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას:
13.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.2. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

14.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

ხელშეკრულება ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველის სახელით"	„მიმწოდებელის სახელით"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	შპს „ლემი"-ს დირექტორი
განვითარების ფონდის	
აღმასრულებელი დირექტორი	
_____	_____
გიორგი შენგელია	**ლევან ცქვიტინიძე**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. სარდაფისა და საევაკუაციო კიბის უჯრედების რემონტი

#	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	სამუშაოების ღირებულება, დღგ-ს გარეშე	
				ერთ. ფასი	ჯამი ლარი
1	2	3	4	5	6
	თავი I. სადემონტაჟო სამუშაოები				
1	ბეტონის კედლის გამონგრევა მეტალოპლასტმასის ფანჯრისთვის ღიობის მოსაწყობად	m3	0.10	112.00	11.20
2	სამშენებლო ნაგავის ჩატვირთვა ტომრებში, შენობიდან გამოტანა და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე	m3	1.50	20.00	30.00
3	სარდაფში ლითონის სავენტილაციო ჰაერსატარი მილების დემონტაჟი	მ	5.00	1.61	8.05
4	Aკიბის უჯრედში ღიობებში არსებული კარების ჩარჩოების დემონტაჟი	ც	3.00	4.80	14.40
	1-ელი თავის ჯამი				**63.65**
	თავი 2. სარდაფის სარემონტო სამუშაოები				
1	ზღუდარის მოწყობა კარების თავზე	ც	1.00	64.00	64.00
2	ლითონის კარის მოწყობა საკეტითა და სახელურებით	ც	1.00	440.00	440.00
3	მეტალოპლასტმასის ფანჯრის მოწყობა ზომით 40*100სმ	m²	0.40	148.00	59.20
4	ლითონის გისოსების მოწყობა	m²	0.40	96.00	38.40
5	ლითონის გისოსებისა და კარის შეღებვა ზეთოვანი საღებავით	m²	0.40	4.80	1.92
6	იატაკის ამოვსება ბალასტით სისქით 80სმ	m3	31.20	22.40	698.88
7	ღორღის ფენის მოწყობა სისქით 10სმ	m3	3.60	25.60	92.16
8	მონოლითური ბეტონის იატაკის მოწყობა სისქით 10სმ B-20	m3	4.00	160.00	640.00
9	მოჭიმვის მოწყობა ქვიშა-ცემენტის ხნარით	m²	36.00	6.80	244.80
10	ხელოვნური კერამოგრანიტის შეძენა და იატაკის მოწყობა პლინტუსებით	m²	38.24	32.00	1,223.68
11	კედლებზე ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს ფილების გაკვრა	m²	86.00	16.80	1,444.80
12	ჭერზე ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს ფილის მოწყობა	m²	36.00	19.20	691.20
13	კედლებისა და ჭერის დამუშავება ფითხით და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ	m²	122.00	9.60	1,171.20
14	შტეფსელური როზეტის შეძენა-მონტაჟი	ც	1.00	17.60	17.60
15	ჩამრთველის შეძენა-მონტაჟი	ც	1.00	11.20	11.20
16	სპილენძის სადენი 2X2.5 მმ2 ორმაგი იზოლაციით	მ	30.00	1.60	48.00
17	მეტალოპლასტმასის ფანჯრის ფერდოების შელესვა ქვ.ცემენტის ხსნარით	გრძ.მ.	2.80	4.00	11.20
	მე-2 თავის ჯამი				**6,898.24**
	A კიბის უჯრედი				
	თავი 3. IV სართულის კიბის უჯრედი				
1	კედლებიდან და ჭერიდან დაზიანებული საღებავის ჩამოფხეკა და შესაღებად მომზადება	m²	98.60	0.80	78.88
2	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ კარ-ფანჯრების ფერდების ჩათვლით	m²	65.00	6.80	442.00
3	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ	m²	33.60	7.60	255.36
4	ლითონის მოაჯირის გასუფთავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ჯერ	m²	7.50	4.80	36.00
5	მდფ-ს კარების შეძენა და მონტაჟი არსებულ ღიობში (2,08X0,7)	m²	1.45	128.00	185.60
6	ერთკლავიშიანი ჩამრთველის შეძენა-მონტაჟი	ც	1.00	11.20	11.20

1	2	3	4	5	6
7	სპილენძის ორმაგად იზოლირებული სადენი 2X2.5 მმ2	მ	15.00	1.60	24.00
8	სენსორული სანათის მონტაჟი	c	1.00	30.40	30.40
	ჯამი				1,063.44
	თავი 4. III სართულის კიბის უჯრედი				
1	კედლებიდან და ჭერიდან დაზიანებული საღებავის ჩამოფხეკა და შესაღებად მომზადება	m²	98.60	0.80	78.88
2	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ კარ-ფანჯრების ფერდების ჩათვლით	m²	65.00	6.80	442.00
3	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2	m²	33.60	7.60	255.36
4	ლითონის მოაჯირის გასუფთავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2	m²	7.50	4.80	36.00
5	მდფ-ს კარების შეძენა და მონტაჟი არსებულ ღიობში (2,08X0,7)	m²	1.45	128.00	185.60
6	ერთკლავიშიანი ჩამრთველის შეძენა-მონტაჟი	ც	1.00	11.20	11.20
7	სპილენძის ორმაგად იზოლირებული სადენი 2X2.5 მმ2	მ	15.00	1.60	24.00
8	არსებული ფანჯრის ალათაში მინაპაკეტის ჩასმა	m²	1.00	38.40	38.40
9	სენსორული სანათის მონტაჟი	c	1.00	30.40	30.40
	ჯამი				1,101.84
	თავი 5. II სართულის კიბის უჯრედი				
1	კედლებიდან და ჭერიდან დაზიანებული საღებავის ჩამოფხეკა და შესაღებად მომზადება	m²	98.60	0.80	78.88
2	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ კარ-ფანჯრების ფერდების ჩათვლით	m²	65.00	6.80	442.00
3	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2	m²	33.60	7.60	255.36
4	ლითონის მოაჯირის გასუფთავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2	m²	7.50	4.80	36.00
5	მდფ-ს კარების შეძენა და მონტაჟი არსებულ ღიობში (2,08X0,7)	m²	1.45	128.00	185.60
6	მოჭიმვის მოწყობა ქვიშა-ცემენტის ხნარით სათავსოში	m²	5.00	6.80	34.00
7	ერთკლავიშიანი ჩამრთველის შეძენა-მონტაჟი	ც	1.00	11.20	11.20
8	სპილენძის ორმაგად იზოლირებული სადენი 2X2.5 მმ2	მ	15.00	1.60	24.00
9	სენსორული სანათის მონტაჟი	c	1.00	30.40	30.40
	ჯამი				1,097.44
	თავი 6. I სართულის კიბის უჯრედი				
1	არსებული ლითონის კარის დემონტაჟი	მ2	3.30	4.00	13.20
2	კედლებიდან და ჭერიდან დაზიანებული საღებავის ჩამოფხეკა და შესაღებად მომზადება	m²	98.60	0.80	78.88
3	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ კარ-ფანჯრების ფერდების ჩათვლით	m²	65.00	6.80	442.00
4	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2	m²	33.60	7.60	255.36
5	ლითონის მოაჯირის გასუფთავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2	m²	7.50	4.80	36.00
6	ერთკლავიშიანი ჩამრთველის შეძენა-მონტაჟი	ც	1.00	11.20	11.20
7	სპილენძის ორმაგად იზოლირებული სადენი 2X2.5 მმ2	მ	15.00	1.60	24.00
8	გასასვლელ კარებთან აგურის კედლის მონგრევა	m³	0.30	7.60	2.28
9	გასასვლელ კარებთან ღიობის ამოშენება აგურით და ზღუდარის მოწყობა	m³	0.70	112.00	78.40
10	კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით ამოშენებული კედლისა და კარების ფერდების ჩათვლით	m²	60.00	6.80	408.00
11	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ კარ-ფანჯრების ფერდების ჩათვლით	m²	60.00	6.80	408.00
12	ჭერის მოწყობა თაბაშირ მუყაოთი	m²	8.00	16.80	134.40

1	2	3	4	5	6
13	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2	m²	8.00	7.60	60.80
14	კარების შეძენა-მონტაჟი ზომით 2,2X0,9 სახანძრო უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით (შიგნიდან გაღებით, სახელურით შიგნიდან კარების მთელ სიგანეზე)	ც	1.00	280.00	280.00
15	სამშენებლო ნაგავის, გამოტანა შენობიდან და ტრანსპორტირება 20 კმ-ზე	m³	3.00	20.00	60.00
16	სენსორული სანათის მონტაჟი	c	1.00	30.40	30.40
	ჯამი				**2,322.92**
	B კიბის უჯრედი				
	თავი 7. IV სართულის კიბის უჯრედი				
1	კედლებიდან და ჭერიდან დაზიანებული საღებავის ჩამოფხეკა და შესაღებად მომზადება	m²	98.60	0.80	78.88
2	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ კარ-ფანჯრების ფერდების ჩათვლით	m²	65.00	6.80	442.00
3	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2	m²	33.60	7.60	255.36
4	ლითონის მოაჯირის გასუფთავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2	m²	7.50	4.80	36.00
5	სენსორული სანათის მონტაჟი	c	1.00	30.40	30.40
	ჯამი				**842.64**
	თავი 8. III სართულის კიბის უჯრედი				
1	კედლებიდან და ჭერიდან დაზიანებული საღებავის ჩამოფხეკა და შესაღებად მომზადება	m²	98.60	0.80	78.88
2	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ კარ-ფანჯრების ფერდების ჩათვლით	m²	65.00	6.80	442.00
3	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2	m²	33.60	7.60	255.36
4	ლითონის მოაჯირის გასუფთავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2	m²	7.50	4.80	36.00
5	სენსორული სანათის მონტაჟი	c	1.00	30.40	30.40
	ჯამი				**842.64**
	თავი 9. II სართულის კიბის უჯრედი				
1	კედლებიდან და ჭერიდან დაზიანებული საღებავის ჩამოფხეკა და შესაღებად მომზადება	m²	98.60	0.80	78.88
2	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2 ჯერ კარ-ფანჯრების ფერდების ჩათვლით	m²	65.00	6.80	442.00
3	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2	m²	33.60	7.60	255.36
4	ლითონის მოაჯირის გასუფთავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2	m²	7.50	4.80	36.00
5	სენსორული სანათის მონტაჟი	c	1.00	30.40	30.40
	ჯამი	ლარი			**842.64**
	თავი 10. I სართულის კიბის უჯრედი				
1	კედლებიდან და ჭერიდან დაზიანებული საღებავის ჩამოფხეკა და შესაღებად მომზადება	m²	98.60	0.80	78.88
2	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით	m²	65.00	6.80	442.00
3	ჭერის დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით 2	m²	33.60	7.60	255.36
4	ლითონის მოაჯირის გასუფთავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2	m²	7.50	4.80	36.00
5	სპილენძის ორმაგად იზოლირებული სადენი 2X2.5 მმ2	მ	15.00	1.60	24.00
6	სამშენებლო ნაგავის მოგროვება, გამოტანა შენობიდან და გატანა 20 კმ-ზე	m³	1.00	20.00	20.00
	ჯამი				**856.24**

1	2	3	4	5	6
	თავი 11. I სართულზე მეტალოპლასტმასის ტიხრების მოწყობა გადახურვით, კარითა და სარკმლით				
1	1 სართულზე ფოიეში (ლიფტის შესასვლელთან) მეტალოპლასტმასის კარკასის მოწყობა თბოიზოლირებული ტიხრით, შემინული სარკმელით, ერთფრთიანი კარით და გადახურვით. H=2,2მ	m²	11.00	164.00	1,804.00
2	შტეფსელური როზეტის შეძენა-მონტაჟი	ც	2.00	17.60	35.20
3	ერთკლავიშიანი ჩამრთველის შეძენა-მონტაჟი	ც	1.00	11.20	11.20
4	სპილენძის ორმაგად იზოლირებული სადენი 2X2.5 მმ2	მ	30.00	1.60	48.00
	ჯამი	ლარი			**1,898.40**
	სულ ჯამი:	ლარი			**17,830.09**
	გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%	ლარი			534.90
	საბოლოო ჯამი დღგ-ს გარეშე	ლარი			**18,364.99**
	საბოლოო ჯამი დღგ-ს ჩათვლით	ლარი			**21,670.69**